№2729 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა (შემდგომში – ფონდი) USAID-თან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის – „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირების“ ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს საერთაშორისო, ადგილობრივი ექსპერტებისა და ტრენერების მიერ გაწეული მომსახურებების და მათთან დაკავშირებული თანმდევი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა გრანტით განსაზღვრულ პერიოდში (2015-2016 წწ.), ფონდის პროგრამით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში (ორგანიზაციული კოდი – 35 01 05).

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**